

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN
HOUSE



Foreign &
Commonwealth
Office

უკრაინის კრიზისის კონსტრუქციულიზაცია ქართულ პოლიტიკაში

ავტორი: ტატო ხუნდაძე

2015

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ნაშრომის შინაარსი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს. ნაშრომი გამოხატავს ავტორის პირად მოსაზრებებს.

შინაარსი

2008 წლის ომი და უკრაინა.....	4
ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაცია და უკრაინა.....	5
ქართული რეფორმების ექსპორტი	6
ეკონომიკური კორელაცია	7
საქართველოს მთავრობის პოლიტიკა უკრაინის მიმართ	8
დასკვნის მაგიერ.....	9

ბოლო ორი წელია, ქართული მედია გაჯერებულია უკრაინაში მიმდინარე პროცესებით. მეტიც, უკრაინის თემა ძირითად პოლიტიკურ აქტორებს შორის მწვავე დებატების მიზეზი გახდა. ამაზე მიანიშნებს ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა ამ თემას მიუძღვნა ორი განცხადება და ორი საპარლამენტო რეზოლუცია. არაერთი განცხადება გაკეთდა ასევე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. თბილისში ბოლო პერიოდში ჩატარდა უკრაინის მხარდამჭერი რამდენიმე მცირერიცხოვანი აქცია, ცენტრალურ ქალაქებში აქა-იქ შეხვედრებით უკრაინის დროშებს და ამ დროშის ფერებში მოხატულ შენობებს. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, თითქმის ორი წელია, საქართველო „შეპყრობილია“ უკრაინის თემით. იმ პირობებში, როცა საქართველო თავად დგას ფაქტობრივად ეგზისტენციალური პრობლემების წინაშე (მაგ., უკანასკნელი აღწერის წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა ბოლო 12 წლის განმავლობაში 14%-ზე მეტით შემცირდა¹), საინტერესოა, რამ გამოიწვია უკრაინის კრიზისის ამ დოზით აქტუალიზაცია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ასახოს ის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც მოხდა უკრაინის პროცესების „ინტერნალიზება“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მეორე მხრივ კი – გაანალიზოს ის ინტერესები და შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარება საქართველოს უკრაინასთან პოზიტიური თანამშრომლობის აწყობაში.

4 დოკუმენტის პირველ ნაწილში აღწერილია ის ფაქტორები, რომელთაც ხელი შეუწყვეს უკრაინის კრიზისის „გადმოღვრას“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. დოკუმენტის მეორე ნაწილი ეთმობა საქართველოსთვის იმ ობიექტურ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც მოჰყვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. დასკვნით ნაწილში განხილულია ის მიმართულებები, სადაც შესაძლებელია საქართველომ და უკრაინამ ითანამშრომლონ, როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

2008 წლის ომი და უკრაინა

საქართველოში უკრაინული პროცესების „ინტერნალიზება“ ერთი მხრივ უკავშირდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამოცდილებას, თუმცა ასევე ნაციონალური მოძრაობის ინტერესს, გამოიყენოს უკრაინის თემა მმართველ კოალიციასთან დაპირისპირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად. ენმ-ს მიერ ამ დისკუსიების გამოწვევა ვერ იქნებოდა შესაძლებელი, რომ არა ის გაბატონებული ნარატივი, რომელიც არსებობს საჯარო სივრცეში უკრაინის შესახებ.

კერძოდ, საქართველოში უკრაინის პროცესის აღწერისას გამოყოფენ რამდენიმე ძირითად დებულებას. პირველი, 2014 წელს, მას შემდეგ, რაც მაიდანზე უკრაინის მოსახლეობამ გააპროტესტა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის იანუკოვიჩის მხრიდან ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა, მაშინდელმა ხელისუფლებამ სცადა პროტესტის ძალისმიერი საშუალებებით ჩახშობა, რასაც მოჰყვა ჯერ რევოლუცია, შემდეგ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და, საბოლოოდ, დონბასში სამხედრო დაპირისპირების ინსპირირება. უკრაინაში მომხდარი მოვლენები, ამ ნარატივიდან გამომდინარე, შემდეგი სახით შეიძლება შეჯამდეს: უკრაინელები ვერ შეეგუენ პრორუსული იანუკოვიჩის მცდელობას, მოეწყვიტა უკრაინა ევროპული პერსპექტივისგან, რაზეც შემდგომში კრემლმა შური იძია და დასაჯა უკრაინელები ამ არჩევანის გამო. ნაშრომის მიზანი არ არის უკრაინაში განვითარებული მოვლენების თანმიმდევრული შეფასება, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გამოიკვეთა მოვლენების აღწერის დიქტომიური ფორმა, რომლის ერთ მხარეს იმყოფება უკრაინა, როგორც მსხვერპლი

¹ 12 წელიწადში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 14%-ით შემცირდა, <http://rustavi2.com/ka/news/15189>

და ევროპა/ევროკავშირი (პროგრესისა და განვითარების სიმბოლო), მეორე მხარეს – რუსეთი, საკუთარი ევრაზიული კავშირის იდეით, როგორც რეგრესისა და იმპერიული აზროვნების სიმბოლო.²

ამ ნარატივზე დაფუძნებით, საქართველოში განხორციელდა უკრაინაში მიმდინარე პროცესების ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ინტერნალიზება“. პირველ რიგში – ეს მოხდა 2008 წლის ქართულ-რუსულ ომთან მიმართებაში.³ ენმ-ის პოზიციით, 2008 წელს საქართველოს გაუჩნდა ნატო-ში ინტეგრაციის რეალური პერსპექტივა, თუმცა რუსეთმა ჩაშალა⁴ ეს გეგმები საქართველოში ინტერვენციისა და ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად. ამ ნარატივის გაგრძელებაა რუსეთის მიერ იანუკოვიჩის მხარდაჭერა, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში დესტაბილიზაციის გამოწვევა. უკრაინისა და ქართული კონტექსტების ასეთი სქემატური და სწორხაზოვანი გადაბმის შედეგად, უკრაინის კრიზისს საქართველოში შიდა პოლიტიკური მნიშვნელობები მიენიჭა.

ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაცია და უკრაინა

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება უკრაინული პროცესების „ინტერნალიზებას“ ქართულ სივრცეში, ეს არის უშუალოდ ქართულ-რუსული ურთიერთობების სხვადასხვაგვარი აღწერა ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების მიერ. 2012 წელს ნინასაარჩვენო პერიოდში იმდროინდელი ოპოზიცია და დღეს უკვე მთავრობა, ადანაშაულებდა ნაციონალურ მოძრაობას რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებაში და კონფლიქტის ხელოვნურ გაღვივებაში. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნინასაარჩვენო პირობა იყო რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მიღწევა. მმართველმა კოალიციამ მართლაც გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ კუთხით. ერთ-ერთი პირველი გადამწყვეტილება, რომელიც მიიღო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, იყო რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერის პირადი წარმომადგენლის ინსტიტუტის შექმნა და ამ გზით რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის დაწყება. კარასინი-აბაშიძის ფორმატი დღემდე მდგრადად განაგრძობს მუშაობას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულია რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების კუთხით. მიუხედავად ზოგიერთი მწვავე ეპიზოდისა (მაგ., რუსეთის მიერ „ბორდერიზაციის“ პროცესის განახლება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან,⁵ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებების ხელმოწერა),⁶ დღემდე ამ კუთხით თვალსაჩინო რყევები არ შეინიშნება.

ნორმალიზაციის პოლიტიკა აღმოჩნდა ენმ-ს კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი. პოლიტიკის კრიტიკა ეფუძნება როგორც ნორმატიულ, ასევე პოზიტიურ არგუმენტებს. ნაციონალური მოძრაობის და ნაწილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აზრით,⁷ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან რუსეთს ამოძრავებს იმპერიული ზრახვები და მას სურს მინიმუმ საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივების ჩაშლა, მაქსიმუმ – საქართველოს ე.წ. ევრაზიულ სივრცეში დაბრუნება.⁸ ნაციონალური მოძრაობის პოზიტიური არგუმენტის მიხედვით, ემპირია აჩვენებს რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია შეუძლებელია. ამ არგუმენტის გამყარებისთვის ნაციონალური მოძრაობა იყენებს ნაციონალისტურ ნარატივს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება 200 წლიანი (ან საბჭოთა) ოკუპაციის იდეას.⁹ უკრაინაში მიმდინარე პროცესები, ნაციონალური მოძრაობისთვის იქცა, როგორც პოზიტიური, ასევე ნორმატიული არგუმენტის გამყარე-

² საქართველოს არასამთავრობო განცხადება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე: „უკრაინა და საქართველო ისტორიულად ევროპული ქვეყნები არიან, რომლებიც იზიარებენ ტრაგიკულ და ბრუტალურ საბჭოთა ოკუპაციის ისტორიას. საერთო წარსული მოგვინოდებს ჩვენ გავეართიანოთ ძალები ჩვენი ქვეყნების ევროპული მომავლის დასაცავად. მოსკოვის პოზიცია უკრაინის ევროპულ ინტეგრაციასთან მიმართებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ამბიციას, რომ შექმნას ახალი გამყოფი ხაზი ევროპაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვსურს შევუერთდეთ ჩვენს უკრაინულ კოლეგებს იმ განცხადებაში, რომ რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება შემოაბრუნოს ჩვენი ქვეყნის ევროპული გზა“ <http://npo.ge/story/sakartvelosarasamtavrobosetoriukrainissamokalkoorganizat>

<http://www.tabula.ge/ge/story/79488-saqartvelos-arasamtavroebis-gancxadeba-ukrainashi-mimdinare-movlenebze>

³ ცხადია, ეს ნარატივები მჭიდრო კავშირში არიან ქართულ ნაციონალურ იდენტობასთან, რაზეც თავის მხრივ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა.

⁴ საგულისხმოა რფ-ს ყოფილი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადება ამ საკითხზე: <http://www.civil.ge/rus/article.php?id=22775>

⁵ ვლადიმერ პუტინმა და ლეონიდ თიბილოვმა მიმდინარე წლის 18 მარტს ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთს შორის მეკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმებას. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42845/>

⁶ რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, <http://www.radiotavisupleba.ge/content/rusetis-da-afkhazetis-khelshekruleba/26708095.html>

⁷ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება?!, ხომტარია, ე., 2013 <http://www.tabula.ge/ge/story/63939-rusetan-urtiertobebis-daregulireba>

⁸ „ნაციონალური მოძრაობა“ კარასინ-აბაშიძის ფორმატის შეწყვეტას ითხოვს“. http://www.for.ge/view.php?for_id=36488&cat=2

⁹ „სააკაშვილი: კონსტიტუციაში უნდა ჩაინეროს, რომ საქართველო არ შეეძლება არც ერთ პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში“, <http://civil.ge/geo/article.php?id=26502>

ბის საშუალებად. ეს პოლიტიკური ლოგიკა დაიყვანება კონკრეტულ მაგალითებზე. კერძოდ, რუსეთის მხრიდან უკრაინის ევროპული პერსპექტივის ჩაშლის მცდელობა, ნაციონალური მოძრაობის ნორმატიული არგუმენტაციის მიხედვით აჩვენებს, რომ რუსეთი არის რეგრესისკენ და იმპერიალიზმისკენ მიმართული მოთამაშე.¹⁰ ხოლო ის კრახი, რომელიც მოჰყვა უკრაინის ყოფილი ხელისუფლების მცდელობას, გაეტარებინა დაბალანსებული პოლიტიკა რეგიონში, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან განიხილება როგორც კიდევ ერთი მტკიცება იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია ევრო-ატლანტიკური მიზნების დათმობის გარეშე შეუძლებელია (პოზიტიური არგუმენტი).¹¹

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად მძლავრი კრიტიკისა, როგორც რეალობა გვაჩვენებს, კარასინი-აბაშიძის ფორმატით ჯერ არავის დაუბრუნებია საქართველო „რუსეთის ორბიტაზე“, რისი თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი ხელისუფლების პირობებში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა და ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავება („არსებითი პაკეტის“ მიღება).¹²

ქართული რეფორმების ექსპორტი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა უკრაინაში მიმდინარე პროცესების „ინტერნალიზება“, უკავშირდება ნაციონალური მოძრაობის მიერ გატარებული რეფორმების „ექსპორტს“ უკრაინაში. ეს საკითხი ქართულ კონტექსტში, აქტუალური გახდა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი მიზეზი უკავშირდება უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების დანიშვნას. ამ დროისთვის ცნობილია, რომ გარდა ექსპრეზიდენტ სააკაშვილისა¹³, რომელიც არის პრეზიდენტ პოროშენკოს მრჩეველი¹⁴, უკრაინის მთავრობაში ქართველ ყოფილ ჩინოვნიკებს უკავიათ: ჯანდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის და გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტები. დამატებით, საქართველოდან 10-მდე ექსპერტი, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირები საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან, კონსულტაციას უწევენ უკრაინის სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს. დანიშნულთა ნაწილზე საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ გამოცხადებულია ძებნა, რაც უფრო ამძიმებს ვითარებას, განსაკუთრებით საქართველოს ამჟამინდელი მთავრობისთვის.

უკრაინაში ქართველი ყოფილი ჩინოვნიკების დანიშვნა ქართულ შიდა პოლიტიკურ პროცესზე ახდენს გავლენას ორი ფორმით: ერთი მხრივ, მათი დანიშვნა უკრაინის მთავრობაში, მათ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეაბილიტაციას ნიშნავს, მეორე მხრივ კი – ამ დანიშვნებით ხდება იმ პოლიტიკის ეფექტურობის აღიარება, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ სტრატეგიაზე და რიტორიკაზეც. „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ დისკუსიებში აქტიურად იყენებდა ორ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, პირველი ეხება სამართლიანობის აღდგენის საკითხს, რომლის მიხედვითაც ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაიდინა არაერთი დანაშაული, მათ შორის, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის კუთხით. მეორე საკითხი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მხრიდან ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შეფასებას, რომლის მიხედვითაც, ამ რეფორმებს არ მოჰყოლია ხელშესახები ეკონომიკური ცვლილებები (მაგალითად, გაიზარდა უთანასწორობა და სიღარიბე) და ისინი ხორციელდებოდა ადამიანის უფლებების ფართო მასშტაბიანი დარღვევით. ორივე ეს დებულება ეწინააღმდეგება ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას უკრაინაში. თუ ეს პროცესი გაგრძელდა და თანამდებობაზე აღმოჩნდნენ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები (მაგალითად, ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი), ეს ხელს შეუშლის ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესს. საქართველოს სამართლებრივ სტრუქტურებს გაუჭირდებათ

¹⁰ მიხეილ სააკაშვილი: „დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ უკრაინა-ეს არის დღევანდელი დასავლეთ ბერლინი, ხოლო ფრონტის ხაზი დასავლეთის ფასეულობების დაცვა რუსული რევანშიზმისგან.“ <http://www.tzona.org/post/mixeil-saakashvili-dasavletma-unda-agiariosrom-ukraina-es-aris-dgevandeli-dasavlet-berlini?search=05-04-2015>

¹¹ «აბაშიძე-კარასინის ფორმატი ქვეყნის დასავლურ კურსს საფრთხეს უქმნის» <http://www.2tv.ge/ge/news/view/87048.html>, „საქართველოში ნატო-ს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე რუსეთს საგარეო უწყების რეაქციას ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი გიგა ბოკერია“, <http://goo.gl/fiM3KY>, „გია ჯაფარიძე: რის «დალაგებას» ვაპირებთ ჩვენ რუსეთთან“ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/80362-gia-jafaridze-ris-dalagebas-vapirebt-chven-rusetan>

¹² „rasmuseni: arsebiTi paketi saqarTvelos natos wevrobisTvis moamzadebs“ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=28658>

¹³ „თავად სააკაშვილი 13 თებერვალს პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ თავის მრჩეველად და რეფორმების მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელად დანიშნა“, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29268>

¹⁴ Poroshenko appoints exiled former Georgian leader as 'non-staff advisor', <http://rt.com/news/232275-poroshenko-saakashvili-advisor-appointment/>

შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გატარება ქართული წარმოშობის უკრაინის ჩინოვნიკების მიმართ, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური, ასევე უშუალოდ სამართლებრივი კუთხითაც. მეორე მხრივ, ქართული რეფორმების ექსპორტი უკრაინაში მინიმუმ საშუალოვადიან პერსპექტივაში, სანამ გამოჩნდება ამ რეფორმების რეალური შედეგები, ნაწილობრივ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „ქართული ოცნების“ კრიტიკულ მტკიცებებს ნაციონალური მოძრაობის მიერ გატარებული რეფორმების ჩავარდნის შესახებ.

ეკონომიკური კორელაცია

კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი, რომელმაც უკრაინის კრიზისიდან გამომდინარე გავლენა მოახდინა ქართულ შიდა პოლიტიკაზე, უკავშირდება ეკონომიკური პრობლემების გადმოდინებას. ეს პრობლემები ამოიზარდა ობიექტური გარემოებიდან, რომელიც ნათლად ჩანს ქართულ-უკრაინული ურთიერთობების 20-წლიანი გამოცდილებიდან. ძირითადი ეკონომიკური პირდაპირი და ირიბი ცვლადები, რომელთა ცვლილებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, შემდეგია: ექსპორტის შემცირება უკრაინაში, გადმორიცხვების შემცირება, უკრაინული ინვესტიციების შემოღინების კლება და რუსულ-უკრაინული კონფლიქტის ფონზე ეკონომიკური ვითარების გაუარესება რუსეთში.

უკრაინა ბოლო 10 წლის განმავლობაში წამყვან პოზიციებს იკავებდა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის. 2014 წელს, კრიზისის განვავების შემდგომ, ამ მაჩვენებელმა დაიწყო ვარდნა, განსაკუთრებით, ექსპორტის მიმართულებით. თუ საექსპორტო ქვეყნებს შორის უკრაინა 2013 წელს იმყოფებოდა მე-3 ადგილზე, 2015 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით იგი ამ სიაში მე-11 ადგილს იკავებს.¹⁵ 2014 წელს ექსპორტი უკრაინაში 2013 წელთან შედარებით შემცირდა 27,2 %-ით¹⁶, რაც საკმაოდ მძიმე დარტყმაა ქართული ეკონომიკისთვის ისედაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსის არსებობის პირობებში. პრობლემა უკრაინიდან ინვესტიციების შემოღინების კუთხით. მაგალითად, თუ 2013 წლის მაჩვენებლებით უკრაინა მეორე ადგილის იკავებდა ძირითად ინვესტორებს შორის, 2014 წლიდან დაფიქსირდა ინვესტიციების მნიშვნელოვანი კლება და ამ წლის მონაცემებით ინვესტირების მაჩვენებელმა უარყოფით ნიშნულს მიაღწია და შეადგინა 2,17 მლნ აშშ დოლარი¹⁷.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასევე მნიშვნელოვანია უკრაინის კრიზისის ირიბი გავლენაც საქართველოს ეკონომიკაზე. რუსეთში რუსულ-უკრაინული კონფლიქტით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს ექსპორტი რუსეთში და ფულადი გზავნილები რუსეთიდან. რუსეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 11,5%-ით შემცირდა. ასეთი ცვლილება სერიოზულ გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე იმ ფაქტის გათვალისწინებით, როცა მთლიანი გადმორიცხვების თითქმის ნახევარს რუსეთიდან გზავნილები შეადგენენ („... 2014 წელს საქართველოში 709,3 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, რაც შეადგენს მთლიანი გზავნილების 49,2 %-ს“). გადმორიცხვები მნიშვნელოვნად შემცირდა უკრაინიდანაც, რაც 2014 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით შეადგენს 32,4 %-იან კლებას¹⁸. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთში შეინიშნება ექსპორტის წილის შემცირების ტენდენციაც. 2015 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, რუსეთში ექსპორტი 5%-მდე შემცირდა (2014 წელს მისი წილი მთლიან ექსპორტში შეადგენდა 9,6%-ს)¹⁹. მეტწილად ეს პროცესი გამოწვეულია რუსეთის ბაზრის მსყიდველობითი უნარის შემცირებით, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც რუსულ-უკრაინული კონფლიქტი და რუსეთზე ამერიკის/ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციებია.

¹⁵ ავტორის ინტერვიუ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ დირექტორთან, რამაზ გერლიანთან

¹⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

¹⁷ ავტორის ინტერვიუ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ დირექტორთან, რამაზ გერლიანთან.

¹⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

¹⁹ რუსეთში ექსპორტი შემცირდა, იმპორტი კი გაიზარდა, http://commersant.ge/?m=5&news_id=18865&cat_id=5

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა უკრაინის მიმართ

უკრაინის კრიზისის დაწყების შემდგომ საქართველოს მთავრობა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ცდილობს ქართულ შიდა პოლიტიკაში უკრაინის თემის გააქტიურებას და მეორე მხრივ, მეინსტრიმული მედია, რომელიც ბუნებრივად დაინტერესებულია „ცხელი თემებით“, ხელს უწყობს უკრაინის თემის მუდმივ აქტუალიზაციას პოლიტიკურ დღის წესრიგში. იმ პირობებში, როცა საქართველო ცდილობს დაბალანსებული პოლიტიკა გაატაროს რუსეთთან, მმართველი კოალიცია თავის მართლებების რეჟიმში აღმოჩნდა.

პოლიტიკური ოპოზიცია და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ექსპერტები მოითხოვდნენ უფრო მკაცრ განცხადებებს და ქმედებებს უკრაინის კრიზისთან მიმართებაში. საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის შემდგომ გააკეთა 2 განცხადება და მიიღო 2 რეზოლუცია უკრაინის შესახებ. აქედან მხოლოდ 2014 წლის 23 იანვრის განცხადება იყო მიღებული ერთსულოვნად, დანარჩენ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობა არ ეთანხმებოდა „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ დოკუმენტებს. ძირითადი არგუმენტები ნაციონალური მოძრაობის მხრიდან უკავშირდებოდა იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივები იყო დაგვიანებული ან მეტისმეტად შერბილებული. მაგალითად, ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ დაუჭირა მხარი ენმ-მ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციებს, არის ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავი შეიკავა ტექსტში შეეტანა პუნქტი რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების შესახებ. ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივი იქნებოდა იმ პოლიტიკის მიმართ, რასაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში ახორციელებს. თავის მხრივ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ რეზოლუციების ტექსტები გულისხმობდა ყველა პოლიტიკურ საშუალებას, რომელიც შეაჩერებს უკრაინის მიმართ სამხედრო აგრესიას, მათ შორის, სანქციებსაც.

ამ პოლიტიკური ბატალიების ფონზე საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობდა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის კუთხით. საქართველოს ყოფილმა ჯანდაცვის მინისტრმა და დღეს უკვე უკრაინის ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანილიმ დავით სერგეენკოსთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „საქართველო უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმომჩენ პირველ ხუთ დონორთა სიაში შევიდა“²⁰. საქართველომ 2014 წელს უკრაინაში გააგზავნა 12-ტონიანი ჰუმანიტარული დახმარება. აგრეთვე, ქართულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, უკრაინაში გააგზავნოს შესაბამისი მედპერსონალი ან უკრაინიდან მიიღოს პაციენტები²¹. დამატებით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2014 წელს საქართველომ აღმოსავლეთ უკრაინიდან დევნილ 110 ბავშვს უმასპინძლა ანაკლიაში.²² საგულისხმოა ისიც, რომ პრემიერ მინისტრმა ლარიბაშვილმა საჯაროდ არა ერთხელ მოუწოდა მთავრობას, მაქსიმალურად დაეხმარონ უკრაინას.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი ლარიბაშვილის ვიზიტის გადადებას მედიაში მოჰყვა არაერთგვაროვანი გამოხმაურება, არსებული ხელისუფლების პირობებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს თანამშრომლობისა და მხარდაჭერის სურვილის სიმბოლურ შესტად. 2015 წლის იანვარში უკრაინაში იმყოფებოდა ორი ვიცე-პრემიერი, კახა კალაძე და გიორგი კვიციანილი. ამ ვიზიტების ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი ვიზიტი საქართველოში უკრაინული მხრიდან, სადაც განიხილება საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები²³. ასევე ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინაში პრეზიდენტი მარგველაშვილი. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა პრეზიდენტ პოროშენკოს და მონაწილეობა მიიღო ე.წ. „ღირსების მარშში“, რომელიც ეძღვნებოდა „მაიდნის მოვლენების“ წლისთავს²⁴.

კიდევ ერთი მიმართულება, სადაც საქართველოს მთავრობა ცდილობს აქტიურად ითანამშრომლოს უკრაინასთან, ეს არის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება. საერთაშორისო და ადგილობრივი კომენტატორების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ჰქონდეთ საერთო პოზიციები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის გზაზე. ამ მხრივ, საქართველომ გადადგა თვალსაჩინო ნაბიჯი და მიმდინარე წლის მარტში თბილისში ქართული მხარის ინიციატივით ევროკავშირთან ასოცირებული სამი პარტნიორი ქვეყნის: საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების სამ-მხრივი შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგ-

²⁰ საქართველოს და უკრაინის ჯანდაცვის მინისტრების შეხვედრა კვიცში, <http://civil.ge/geo/article.php?id=29315>

²¹ საქართველომ უკრაინას ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა <https://www.youtube.com/watch?v=4vunVARzpzg>

²² იქვე.

²³ საქართველო უკრაინას ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს <http://www.radiotavisupleba.ge/content/sakartvelo-ukrainas-humanitarul-dakhmarebas-gaucevs/26550610.html>

²⁴ „კვიცში «ღირსების მარში» მიმდინარეობს“ <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/123602/>

ში არსებული მიმდინარე საკითხების განხილვას. ოფიციალური თბილისის მხრიდან ასეთი სახის გად-
ანწყვეტილებების მიღება მიაჩნდება იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის ითანამშრომლოს
უკრაინასთან საგარეო პოლიტიკური მიმართულებითაც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა საკმაოდ აქტიურად მუშაობს
უკრაინასთან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სერიოზული შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდე-
ბა რუსეთთან ნორმალიზაციის პოლიტიკას, უკრაინაში საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრების
თანამდებობებზე დანიშვნის ფაქტს და შიდაპოლიტიკურ კონტექსტს. ოპოზიციისა და ადგილობრივი
ექსპერტთა ნაწილის²⁵ მხრიდან საქართველოს მთავრობის კრიტიკა უკრაინასთან მიმართებაში საკმაოდ
ბუნდოვანია და არ მოიცავს კონკრეტულ ინიციატივებს იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით უნდა
შეიცვალოს ეს პოლიტიკა.

დასკვნის მაგიერ

ქართულ საზოგადოებაში არსებობს გაბატონებული მოსაზრება, რომელიც ერთ სიბრტყეში ხსნის
უკრაინაში არსებულ კრიზისს. წარმოებული დისკუსიებისა თუ ანალიზის დროს იკვეთება, ერთი ძირით-
ადი ცვლადი რუსეთი სახით, რომლითაც ცდილობენ ახსნან უკრაინაში არსებული სამხედრო დაპირისპ-
ირება, ყირიმის ანექსია, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ცხადია, რომ ძირითად შემთხვევაში,
პრობლემისა თუ მოვლენის ახსნა (მით უმეტეს, როცა ეს პრობლემა პოლიტიკის სფეროს ეხება) ერთი
ცვლადით, სიტუაციის გამარტივებაზე ან რიგ შემთხვევაში, დამახინჯებაზე მიუთითებს. ნათელია, რომ
რუსეთი არის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე რეგიონში და განსაკუთრებით ყირიმის ოკუპაციის მხრივ,
პასუხისმგებლობის დიდი წილი მასზე მოდის. თუმცა, ბოლო 2 წლის განმავლობაში დატრიალებული მოვ-
ლენები საკმაოდ კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია. რომ არა უკრაინისთვის დამახასიათებ-
ელი ისეთი შიდა პოლიტიკური დეტერმინანტების არსებობა, როგორცაა: პოლიტიკური სივრცის „ოლი-
გარქიზაცია“, კორუფციის მაღალი დონე, კლანური მმართველობა, მწვავე უთანასწორობა და სიღარიბე,
საეჭვოა, რომ რუსეთი შეძლებდა იმ ნაბიჯების ისეთივე წარმატებით გადადგმას, რაც მან განახორციელა
აღმოსავლეთი უკრაინისა და ყირიმის მიმართულებით. ქართული საზოგადოებისთვის ამ ფაქტორების
გააზრება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ხდება უკრაინის
პროცესების სქემატური გაგება და შემდგომ მისი შიდა პოლიტიკურ პროცესში დამახინჯებული „ინტერ-
ნალიზება“. ასეთი მიდგომები აძლიერებს „მტრის ხატის“ ფენომენს და ავიწროებს სივრცეს საკუთარი
პოლიტიკური შეცდომებისა თუ პოლიტიკების ჩავარდნის გააზრებისთვის. განსხვავებით საქართველოს-
გან, სადაც არსებობს უკრაინის მოვლენების სწორხაზოვანი და ერთცვლადიანი ახსნა, ევროპაში ისევე,
როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარეობდა აქტიური სამეცნიერო თუ ანალიტიკური დი-
სკუსია უკრაინაში განვითარებული მოვლენებისა და ამ პროცესებში დასავლეთის როლის შესახებ²⁶.

უკრაინასთან მიმართებაში პოლიტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელია, დაისვას ფუნდამენტუ-
რი კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის დღეს საქართველოს ინტერესი უკრაინაში. ერთი მხრივ მორალ-
ური (ჰუმანიტარული), მეორე მხრივ კი – ზემოთ აღწერილი ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინ-
არე, საქართველოსთვის, პირველ რიგში, არსებითია უკრაინაში ვითარების სტაბილიზაცია. უკრაინა
არის საქართველოს უახლოესი მეზობელი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი (საექსპორტო
ქვეყანა). იქ არსებული კონფლიქტი და ეკონომიკური კრიზისი, არსებით ზეგავლენას ახდენს რეგიონის
ეკონომიკურ სტაბილურობაზე, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ ეკონომიკას და ქმნის ირიბ წინა
პირობებს პოლიტიკური არასტაბილურობისთვის. უკრაინაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია,
საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სხვა პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ფაქტორების გამო, მათ
შორის: უკრაინიდან ფულადი გადმორიცხვების და ინვესტიციების შემცირება, ასევე რუსეთში ექსპორ-
ტის შემცირების გამო (რაც რუსეთში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული).

საქართველოს ინტერესში შედის ასევე მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება უკრაინასთან ევრო-
კავშირთან ურთიერთობების გაღრმავების, კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციისა
და „ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო სივრცესთან“ ურთიერთქმედების კუთხით. ამ მიმართულებით

²⁵ შედარებისთვის იხილეთ შემდეგი ინტერვიუ: «თორნიკე შარაშენიძე – უკრაინასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის
მისამართით საკმაოდ სამართლიანი პრეტენზიები გაისმა», <http://www.interpressnews.ge/ge/politika/295490?ar=A>, aseve politolog korneli
kakaCias in teruiu <http://globalresearch.ge/press/georgian-press-14012015.html>

²⁶ სტატიაში მოყვანილია ინფორმაცია ჯონ მერშაიშერსა და მაიკლ მაკფოლს შორის დისკუსიის შესახებ, <http://regional-dialogue.com/uncategorized/russo-ukrainian-crisis/>

თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, ასევე ევროკავშირთან შეთანხმებული პოზიციების დაცვისთვის (მათ შორის, სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინების კუთხით). საქართველო ამ მხრივ უკვე დგამს ნაბიჯებს, რისი გამოხატულებაც იყო 2015 წლის მარტში რიგის სამიტისთვის მოსამზადებელი შეხვედრის მასპინძლობა თბილისში, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების მონაწილეობით.

ასევე, საქართველოს და უკრაინას აერთიანებთ ოკუპირებულ/ანექსირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები. საქართველომ და უკრაინამ ერთად უნდა იმუშაონ საერთაშორისო პარტნიორებსა და რუსეთთან, რათა მოხდეს ამ ტერიტორიების მშვიდობიანი დე-ოკუპაცია (დონბასის შემთხვევაში, ვითარების სტაბილიზაცია და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება) და შემდგომ ეტაპზე მათი საყოველთაო სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ცხადია, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ გრძელვადიანია და მათი მოგვარებაც მოითხოვს გრძელვადიან პოლიტიკურ სტრატეგიებს. ამ ეტაპზე საქართველომ და უკრაინამ შესაძლებელია იმუშაონ ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა ოკუპირებული/ანექსირებული რეგიონების ჩართულობის შესახებ, მეორე, საერთაშორისო მიმართულებით ერთობლივი დიპლომატიური ძალისხმევის განხორციელება ამ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების ხელშეწყობისთვის.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავად დგას უმწვავესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე, საქართველოს მთავრობამ უნდა განაგრძოს ის ჰუმანიტარული აქტივობა, რომელსაც იგი ახორციელებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკრაინის მიმართ. ამავე დროს მნიშვნელოვანი იქნება თუ ოფიციალური თბილისი გააგრძელებს უკრაინის დახმარებას გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს გამოცდილება (მათ შორის, ნეგატიური გამოცდილება) დევნილთა ჩასახლებისა და ინტეგრაციის, ოკუპირებული ტერიტორიების ჩართულობის, ჯანდაცვის რეფორმის (2012 წლის შემდგომ საყოველთაო დაზღვევის სისტემა) და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის კუთხით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკები ცდილობენ ძირითადად პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩინონ სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული რეფორმები. სავარაუდოდ, უკრაინის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს სამომავლოდ მოუწევს იმ მწვავე პრობლემების გააზრებაც, რომელიც თან ახლდა საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს. საქართველოს დღევანდელ მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას, ამ ტერმინის ფართო გაგებით, შეუძლია მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს უკრაინას, როგორც მეზობელ ქვეყანას ამ პრობლემების გააზრებაში.

